№ 3506/01-8 "17" 06 2024

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

სს "სილქნეტის" შენიშვნები

"ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის" დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე

წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის" შენიშვნებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე „ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის" დამტკიცების შესახებ (შემდგომში „დადგენილების პროექტი"):

„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში, „**კანონი**") მე-4 მუხლის მე-10 მუხლის თანახმად, ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის, დაშვების ფასზე, შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დავის გადაწყვეტის მოთხოვნით კომისიას მიმართონ; ხოლო ამავე კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად „ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიას ამტკიცებს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

შესაბამისად, მიუხედევად იმისა, რომ „კანონის" თანახმად „დადგენილების პროექტი" უნდა მოიცავდეს მობილური გადამცემების განთავსების მიზნით ანძებზე/ბოძებზე დაშვების საფასურის გაანგარიშებასაც, აღნიშნულ საკითხს სპეციალიზებული ფორმით არ აწესრიგებს „დადგენილების პროექტი", განსხვავებით საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე და ბოძებზე ოპტიკის განთავსების მიზნით დაშვების ნაწილისა

შ-24-6/2670
17.06.2024
2ფურც.

და შესაბამისი ხარჯების კატეგორიებისა, რაც კონკრეტულად არის მოწესრიგებული „დადგენილების პროექტით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორაზროვნების გამოსარიცხად, გთხოვთ, „დადგენილების პროექტი“ მოიყვანოთ „კანონთან“ შესაბამისობაში და განახორციელოთ ზემოთ მითითებული ცვლილებები.

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი